

# ს ი ა ნ ზ

ეროვნული  
ბიბლიოთეკა

## სიგნოლო და გამოსვლილება

დეპის რედი—ეს არის სიმბოლო და გამოცდილება („ტაიმაი“)

ნახ. მ. ვაღბოლხიას



...გამოცდილება და...

...სიმბოლო


10/14 2  
1942  
5  
108

## ხელს არ აძრებს

„პიტლერელები საბჭოთა დანაკლისის გამოთვლას ვითომდა „უკლებლივ“ ანერხებენ, თავიანთი ზარალის შესახებ კი, რომელსაც ისინი გაცილებით უკეთ ხედავენ, დაჭინებით სდუმან, თითქოს პირში წყალი დაიგუბესო“.

საბჭოთა ინფორმბიუროს ცნობიდან

ნახ. ლომიძისა



საბჭოთა „დანაკლისზედა“ როცა არაკებს ჩმახვენ, ბუკ-ნალარით და ყვირილით ქვეყანას გადალახვენ,

მაგრამ როს თავის დიდ ზარალს ხედავს ეს მგელთა კრებული, სიმუნჯე იპყრობს და პირში წუმბე აქვს ჩაგუბებული.

„გერმანულ ფაშისტებს, რომელთაც იმედი ჰქონდათ, რომ მაიკოპის ალბის შემდეგ ზეირს ნასავდენს საბჭოთა ნავით იმედი გაუტრუვდათ. საბჭოთა ნავით მათ ვერ მიიღეს და ვერც მიიღებენ.“

საბჭოთა საინფორმაციო ბიუროს ცნობიდან

ნან. გ. ლომიძისა



საბჭოთა ნავით შემწავროდა ეს ბანდიტი არამზადა, მასზე იმედს ამყარებდა, თან ჭურჭელიც მოამზადა



მაგრამ ნატვრა არ აუხდა, არ ახდებდა აღარც აწი,— ზენზინის და ნავთის ნაცვლად მან მიიღო მხოლოდ ბრანწი.

პირველი და არა უკანასკნელი

ოკუპირებულ სოფლის კომენდანტს, ობერ-ლეიტენანტს ვოლფ შმარკეს თავისთავი პატარა „ფიურერად“ წარმოედგინა და განუსაზღვრელ უფლებით სარგებლობდა. იგი რკინის მეორე ჯვარზე ოცნებობდა და უფროსების ყურადღების დასახურებას ცდილობდა.

მან სოფლის დაკავების პირველ დღესვე საზოგადოებელ ალმარათა და რამდენიმე საბჭოთა პატრიოტი ჩამოახრჩო.

მან აუკრძალა მცხოვრებლებს სახელებისა და გვარების ხმარება მასი ბრძანებით შესდგა მოსახლეობის საერთო სია, რომლის რიგითი ნომრების მიხედვით თვითვე უნდა იქნებოდა ნომერი მიეკუთვნა. ნომერი გვარის მაგიერობას ასრულებდა. ვოლფ შმარკე ამ ღონისძიების რაციონალიზაციას ასაბუთებდა უმთავრესად დროის ეკონომიით, ნამდვილად კი მას ეზიზღებოდა რუსებისა და უკრაინელების სახელისა და გვარის ხსენება.

ვოლფ შმარკემ თავის საცხოვრებლად ყოფილი მემამულის სასახლე აირჩია, სადაც სოფლის სკოლა იყო მოთავსებული. სკოლა დახურეს და მცხოვრებლებისაგან წართმეული ნივთებით კომენდანტს ბინა მოუწყვეს. ცოტა არ იყოს კომენდანტს „ქეჟაში არ უჯდებოდა“, რომ მისი ბინა სოფლიდან სამი კილომეტრით იყო დაშორებული, მაგრამ სხვა გზა არ იყო, იგი ამ მდგომარეობას უნდა შერიგებოდა. ასე მიდიოდა დრო. ფაშისტებისადმი მცხოვრებთა ზიზღი ყოველდღე მატულობდა. კომენდანტი განცხრომის მისცემოდა.

მისთვის თითქოს ყველაფერი რიგზე იყო. მხოლოდ მცხოვრებთა საერთო სიის ცვალებადობა ანერვიულებდა. ხშირად სიდიდან რომელიმე ნომერი ამოვარდებოდა, რაც იწვევდა ნომრებთა არეუ-დარევის. ამ დღეებში პირველი ნომერიც ამოვარდა. გლეხი მიხა შჩებრუკოვი, რომელიც სიაში პირველი ნომრით ითვლებოდა, სადღაც გაჰქრა. არავინ იცოდა „კამ ჩაყლაპა, თუ მიწამ“ სამოცი წლის შჩებრუკოვს შმარკეს ბრძანებით ხშირად აწამებდნენ იმის გამო, რომ მისი შვილიშვილი პარტიზანთა ჯგუფის მეთაური იყო. სოფელში ხმა გავრცელდა, რომ შჩებრუკოვმა მდინარეში თავი დაიხრჩო. ეს ხმები კომენდანტისათვის დამაჯერებელი გახდა მ.ს შემდეგ, რაც მას მოხუცის ქუდი მოუტანეს თითქოს მდინარის პირად ნაპოვნი.

ერთ საღამოს, კომენდანტი სოფლიდან სახლში ბრუნდებოდა. ეტლში ოთხი ქალი შეება, უკან მათ ოთხი შეიარაღებული ჯარისკაცი მიყვებოდა. ვოლფ შმარკე ეტლში იჯდა, ხელში რეზინის შოლტი ეკავა, რომელსაც პაერში ატყლაშუნებდა. იგი მხიარულ ხასიათზე იყო. ამ დროს გაისმა მკეჭარე ხმა:

— შესდექით! ხელები მაღლა! თითქოს ქვესკნელიდან ამოძვრნენო, ეტლს პარტიზანები შემოეხვივნენ:

— მიცანით, ბატონო კომენდანტო? — შეეკითხა შმარკეს მის წინ მდგარი, თავიდან ფეხებამდე შეიარაღებული მიხა შჩებრუკოვი.

— პირველი! — იყო გაფითრებულ შმარკეს პასუხი.

— დიას, პირველი გახლავართ, რომელიც შურს იძიებს დღეს თქვენზე იმათ მაგიერ, რომლებიც ჩამოახრჩვეთ, ჩვენი ქალებისა და ბავშვების მაგიერ, რომლებიც აწამეთ. დიას, მე პირველი ვარ და არა უკანასკნელი... შურის მაძიებლები კიდევ ბევრი იქნებიან.

ახლა, ბატონო კომენდანტო, ინებეთ და ეტლიდან ჩამობრძანდით, ეს ჩვენი უდანაშაულო ქალები თქვენს ადგილს დაიკავენ. აცხცახებული შმარკე ეტლიდან გადმოათრიეს და აკანკალებული გაჩერდა. ქალები სიხარულით ემუსაიფებოდნენ გმირ პარტიზანებს. შემდეგ ეტლში ჩასხდნენ და შჩებრუკოვს მიმართეს:

— მიხეილ ივანეს ძეგ, განა არ აჯობებს, რომ ამ არამზადებმა იარაღი ჩვენ ვადმოგვცენ, და თვითონ კი ცოტანით შინჯონ ცხენების მაგიერობის გაწევა.

— აჯობებს, — ღიმილით მიუგო შჩებრუკოვმა.

ბარკი მოვაკის სინათლავ

ერთხელ ღამით მტრის ადალი, რომ მიჰქონდა საჭურველი, მიდიოდა ფრონტისაკენ, წინ ტყე ჰქონდა გასავლელი, ფრონტის პირი ჯერ შორს იყო, არც ელოდნენ პარტიზანებს, კაპიტანი ოტო კუნცი ავტოს წინ-წინ მიჰქანებს.

ულრან ტყეში რომ შევიდა, გულმა უწყო მანაც ძვერა, და ნერვების დასამშვიდად წამოიწყო მან სიმღერა.

მაგრამ უცებ ბათქა-ბუთქი საშინელი ატყდა ტყეში, და გამოჩნდა უცარად ბადრი მთვარის სინათლემი:

კაპიტანი ოტო-კუნცი იდგა ხელგაწეული, მასთან ერთად ხელგებს სწევდა მთელი მისი ასეული.

— „ვერ გადურჩით პარტიზანებს! დამირბის მთლად ადალი!...“ ფიქრობს ოტო და თავდამსხმელთ მიმართულებით უცებ თვალი.

და გაჰკვირდა... პარტიზანთა ნაცვლად ხელგებს თავის ფრიცებს, თვით გერმანულ ჯარისკაცებს, ფაშისტურად დანაფიცებს.

მაგრამ ფრიცნი აღარ ზოგვენ თავისავე კაპიტანსა, მოუქნია ერთმა ხმალი მოაშორა თავი ტანსა.

და ნადავლი იარაღით ბადრი მთვარის სინათლემი, დეზერტირთა მთელი რაზმი მიეფარა ულრან ტყეში.

1

წითელი ჯარი შეტევაზე გადავიდა და გერმანელები სოფელს ტოვებდნენ. საკომენდანტოს წინ ერთი ორომტრიული იყო: მართავდნენ მანქანებს, ჰკრავდნენ ბარგს და ყუთებში ალაგებდნენ. გაბრაზებული კომენდანტი ჯგუფიდან ჯგუფში გადადიოდა, ყვიროდა, იგინებოდა. ხანდახან მუშტსაც კი მიმართავდა. მეფის-ტოფელივით წაწოლა ეფრეტორი ფუნჯს სწრაფად ატრიალებდა ჰაერში და ყუთებზე მისამართებს სწვრდა. დაფეთებული მამასახლისი სამუშაოდ მორავილ ქალებს უჯავრდებოდა: ჩქარა დაალაგეთ ყუთები მანქანებზეო.

— შენმა მზემ... ჩქარა დავალაგოთ... ჩვენი ნაოფ-ლარი გააქვთ გერმანიაში და კიდევ ვიჩქაროთ? — სიძულვილით ჩურჩულებდნენ ქალები.

— რას ბუზღუნებთ მან? ჩუმაღ! — ყვიროდა მამასახლისი. — მე ჯერ აქა ვარ! კიდევ ავიწვავთ ზურგსა და ზურგსაქვეშეთს! ბატონი კაპიტანი დიდ ადგილს შემპირდა გერმანიაში. მე იქაც ბურგომისტრად ვიქნები, მაშნ გერმანელებმა იციან დაფასება, თქვენ კი... უფ, თქვენ... სამი თვეა თქვენს ბურგომისტრად ვარ და ვერ შეგახვიეთ ახალ წესრიგს. ვერაფერი შეიგნეთ...

— მართალი ხართ, ბურგომისტრო, ძალზე უმაღური ხალხია თქვენი თანამემამულენი, — უთხრა მამასახლისის კომენდანტმა. — რაც უნდა ელაპარაკო, სულ ტყისაკენ იტყვიან.

— არ დაგვალდა თორემ ვასწავლიდი ტყუას, — დაიტრახა მამასახლისმა და შემპარავდა. — მიიქნე-ღურად ჰკითხა: — ჩემი ბარგი რომელ მანქანაზე დავედო, ბატონო კაპიტანო?

— თქვენი ბარგი რა შუაშია?  
— როგორ? — ელდა ეცა მამასახლისს. — აქ ხომ არ დამტოვეთ? ხუმრობთ, ბატონო კაპიტანო!

— რატომაც არა? ეს ხომ თქვენი ქვეყანაა?  
— ჩემი ქვეყანა იქაა, სადაც თქვენ ხართ! აქ რომ დამტოვით ცოცხლად შემპაშენ ჩემი სოფლელები. მე ხომ თქვენი მარჯვენა ხელი ვიყავი? ამ სოფელში 3,000 მცხოვრებია, მაგრამ მართლ მე მოვედი თქვენთან, — და მამასახლისი ნაცემი ძალღივით მიაჩერდა ბატონს.

— კარგი, მოიტანე!  
მამასახლისმა მედიდურად ჩაუარა ქალებს და თითი დაუქნია ერთ ქერათმიანს:

— ჰკუთ იმუშავე, დარია, თორემ... სამუდამოდ კი არ მივდივარ გერმანიაში... კიდევ დავბრუნდები...  
— რატომ მოაქვს ყველაზე გვიან თავისი ბარგი? — ჰკითხა დარიამ ამხანაგებს.

— გერმანელებმა რომ არ გაუსინჯონ. ხომ იცი, მაგან ჩვენი თამჯდომარის ქურჭი მიითვისა. ჰო, ჰო, ის ძვირფასი ქურჭი, წაგის საყელოანი.

— მე ქალი არ ვიქნები, თუ მაგას ოინი არ ვუქენი, — დაიქანდა დარიამ.

2

რუსი ხალხის ნაოფლარით დატვირთული მანქანები ზედიზედ გადიოდნენ სოფლიდან. მანქანებზე შეიარაღებული ჯარისკაცები ისხდნენ, რომ, საჭიროებისას, ძალით წართმეული ძალით დაეცვათ. კომენდანტი უკანასკნელ განკარგულებას იძლეოდა, როცა მამასახლისის ბარგით დატვირთული საზიდარი საკომენდანტოსთან გაჩერდა. მამასახლისმა ანიშნა და ქალებმა ბარგის გადმოტვირთვა იწყეს. ზღაპრითა და ზიზღით ცლიდ-

## ზიცი, ჰანსი და ვალტერი

„ჯარისკაცებს ჰპირდებოდნენ, რომ მათი ნაწილი მიიღებდა ცვლას და ზაფხულის ბროლებში ისინი მიაწვდიდნენ ალარ მიიღებდნენ. ჯარისკაცები დიდხანს იყვნენ ამით დაიმედებულნი“.

ნან. გ. ლომიძისა

ტყვე გერმანელი ჯარისკაცის ჩვენებიდან



1.

ფრიცო. ჰანსი და ვალტერი  
ოცნებობდნენ მოვა ცვლაო.  
გასცქეროდნენ შორიზონტებს, —  
გვეღირსება შინ წახვლაო.



2.

შოლოდინში სულ პირველად  
განუტევა ფრიცმა სული.  
ცვლას ეელდა მაინც ფრი  
შიტლერელი თავგასული.



3.

მაღე ფრიცა მიჰყვა ჰანსი,  
ვალტერ ძლიერ დავილონდა.  
მაგრამ მაინც მოვა ცვლაო,  
მას იმედი დიდი ჰქონდა.



4.

მაგრამ მასაც შეანანეს,  
ხმლის მოქნევით ზრახვა ავი.  
ცვლაზე ფიქრს აწ ვეღარ შესძლებს  
ტანს მოსწყვიტეს რადგან თავი.

ნენ ბარგს. დარია დააკვირდა ერთ ყუთს, რომელიც ყველაზე დიდი იყო და ყველაზე საგანებოდ შეკრული. მამასახლისმა თვითონ მოჰკიდა ხელი ამ ყუთს. დარია მივარდა და ყუთს ხელი შეავლო. ქვემოდან აკრულ თოკს ფათური დაუწყო.

— ფრთხილად, შიგ ჰკიჭებია, — უთხრა მამასახლისმა დარიას. — არ დაამტვრიო. დარიამ თვალი ჩაუკრა ქა-ლებს. ქალები მიცივდნენ მამასახლისს და გამოართვეს ყუთი. მამასახლისი ყვიროდა დამიმტვრევითო, მაგრამ ქალებმა თვითონ მიიტანეს ყუთი მანქანამდე. მანქანასთან კი ყუთს ხელი უშვეს და დააგორეს. ყუთი გასკდა და მზეზე წაგის ბეწვი აეღვარდა. კაპიტანმა თვალი მოჰკრა და დააჩერდა ქურჭს. ეფრეტორი მივარდა, ასწია ქურჭი, გაფერთხა და გაუშალა კომენდანტს.

— მე ბეწვეულის მაღაზიის ნოქარი ვარ, ბატონო კაპიტანო, მაგრამ ასეთი წაგი ჯერ არ მინახავს, — სთქვა ალტაცებულმა ეფრეტორმა. — წაგის საყელოა, ძვირფასი წაგის...  
— მართლაც რომ საუცხოოა წაგია, — დაეთანხმა კაპიტანი და ხელი გადაუსვა წაგს. ნახი, ფაფუკი ვერცხლისფერი ბეწვი რბილ ჟრუანტელს იწვევდა ტანში, თითქოს ნახი ალერსით სავსე იყო ის ბეწვი. კომენდანტს ნესტოები გაუგანებრდა, თვალები გაუფართოვდა. მამასახლისის ციგმა ოფლმა დაასხა.

— ეფრეტორო კუნცი! დაეხარეთ ბატონ ბურგომისტრს! მოუარეთ მისს ნივთებს, შედეგს მომხსენებთ! — უთხრა კომენდანტმა ეფრეტორს და კმაყოფილი ღიმილით აეტრია ჩაჯდა.

გახარებულმა მამასახლისმა წამსვე სტაცა ქურჭს ხელი, ისევ ჩასდო ყუთში და დაუფვირა ქალებს:

— ახლაც არ გაგივარდეთ ხელიდან, თორემ... ვერა ხედავთ, როგორ ზრუნავენ ჩემზე?

საზიდარი ჩქარა დასცალეს. უკანასკნელი მანქანები აქოთქოდნენ და შარაგზაზე დამცველი ტანკი გამოვიდა. ეფრეტორი კუნცი მანქანაზე ავიდა და შოფერს უბრძანა გასწო.

— სდექ! მე სად დავჯდომ? — დაიყვირა მამასახლისმა და ძვირფასი ჩამომჯდარ ეფრეტორს ფეხებში ხელი სტაცა. ეფრეტორმა ისე ღონივრად ნიარტყა ქუსლი ცხვირში, რომ მამასახლისი მოსწლეთით ჩაიკეცა.

3

გერმანელები უკვე შორს იყვნენ, მამასახლისი რომ გონს მოვიდა. სურდა ადგომა, ვერ შესძლო. ის მაგრადა შეეკრათ ქალებს. დარია თავს ადგა და ზიზღნარევი სიცილით ეუბნებოდა მამასახლისს:

— ხა... ხა... ბურგომისტრო! — დაგიფასეს სამსახური? წაგის ქურჭი რაა, შენ ახლა შენი საკუთარი ქურჭი იკითხე, მოლაღატევი...  
როლიონ ქორქია

## ანალოგიები

ერთხელ ბოსტანს მეზობლისას  
შეჩვია ქურდი მოლა,  
და ნაყოფი რაც დამწიფდა,  
ხელს ფარულად გააყოლა.

მეპატრონის გაბრაზება  
არ ჩააგდო აინუნში.  
ნაძარცვის თვლიდა შერჩენილად,  
უხაროდა თავის გულში.

ერთხელ მოლამ მოზრდილ კალათს  
წამოაფლო ხელი მარდად,  
და მეზობლის ბაღისაკენ  
ჩვეულებრივ გაემართა.

მაგრამ უცებ „ტაკაც“ და გზაზე  
გაუქვავდა მოლას ფეხი,  
გადაუტყდა წვიგზე ძვალი —  
ნახსლელტ მახით მონატეხი.

უცებ მიხვდა ვისგან იყო,  
ამოიღდა მან ძლივს ენა,  
ტკივილისგან ხმის კანკალით  
ღმერთს მადლობა მოახსენა:

— ხომ გადავჩიო, შენი რისხვით  
ხომ დაეცა ჩემს მტერს მეხი:  
მტრის ჯინჯე მე უწებლად და  
მთელი დამჩრა ცალი ფეხი“...

გერმანელი ფაშისტებიც  
რა ღიების ნახეს მარცხი, —  
მათი ჭირის დასამალად  
გაჰკივიან მარჯვნივ, მარცხნივ:

„ხომ გადავჩიო! ევროპაში  
ვერ მოიღვა მტერმა ფეხი“...  
თან ლოდინი ახალ ფრონტის  
გულს უზარავთ, როგორც მეხი.

პოლონეთის ერთერთ რაიონში გერმანელების დამსჯელ რაზმს ახალი უფროსი გაუგზავნეს—პოლონელი ფონ-აზიზბერგი.

დანიშნულების ადგილზე მისულ აზიზბერგს ხელქვეითმა მეთაურებმა ნაძარცვი ხორაგით ნადიმი გაუმართეს.

ერთერთმა მლიქვნელმა ოფიცერმა ტლინკემ აზიზბერგს ასეთი სიტყვით მიმართა:

— მე თქვენი სახით მივესალმები ტვეტონთა განთქმული რასის წარმომადგენელ მებრძოლს. თქვენი სახელი ცნობილია მთელს ევროპაში. მე თქვენ შორიდანვე გიცნობთ, როგორც მტკიცე მებრძოლს, როგორც დაპყრობილ ქვეყნებში ყოველგვარ ღონისძიებათა უმკაცრესად და თანამიმდევრად გამტარებელს, როგორც მტკიცე და მრისხანე გუშაგს არიულ რასის ინტერესებისას. გაუმარჯოს ფონ-აზიზბერგს! ეს ლებეტ!—გაისმა მისი ხმა.

— ერთი შესწორება!—დაიძახა მეორე ოფიცერმა—აზიზბერგის ძველმა მეგობარმა ფოცხვერშტეინმა:—მე არ ვიზიარებ იმ აზრს, თითქოს ჰერ აზიზბერგი მკაცრი და მრისხანე იყოს..

— ბ...ბ...ბ...ბოდიში!.. მე... ცუდი აზრით არ ნიტქვამს—ძლივს წარმოსთქვა შეშინებულმა ტლინკემ.

— მჯერა, მაგრამ მინდა გაგიმართოთ, —განაგრძო ფოცხვერშტეინმა, —აზიზბერგი მეტად აზიზი ადამიანია, ის ვერ ურიგდება სიმკაცრეს.. მას, მაგალითად არ უყვარს სისხლისღვრა.

— სწორია! სისხლი არ მიყვარს!—დაეთანხმა აზიზბერგი.

ყველანი გაკვირვებული დარჩნენ: გერმანელი მხედრისათვის, განსაკუთრებით იმისათვის, რომელიც დამსჯელ რაზმს უფროსობდა, ეს თვისება სავეცებით შეუფერებელი იყო, მაგრამ დაწვრილებით ამბის გამოკითხვას ვერავინ ბედავდა, მხოლოდ მეორე დღეს ისევე ტლინკემ გაეცა და ფოცხვერშტეინს შეეკითხა:

— მე გაგონილი მაქვს, რომ აზიზბერგი ურჩ მოქალაქეებს მეტად მკაცრად ეპყრობა. ეს მე მისი, როგორც არიელის, საამაყო თვისებად მიმაჩნია და მაინტერესებს როგორ უნდა გავიგოთ თქვენი სიტყვები, თითქოს მას სისხლი არ უყვარს?

— პირდაპირი მნიშვნელობით, —სისხლი არ უყვარს: მოწინააღმდეგეებს სახრჩობელებით უსწორდება.

ისარიძე

მონარიკა

პარტიზანების შიშით, გერმანიის ჯარის სარდლობამ ბრძანება გამოსცა ვინაიდან კრეტის კუნძულზე ნადირები აღარ მოიპოვება, მცხოვრებლებმა სანადირო თოფები დაუყოვნებლივ მათ უნდა ჩააბარონ.

გაზეთებიდან

ნახ. ღონისა.



— მართლა აღარ მოიპოვება ჩვენს კუნძულზე ნადირები?

— პირიქით! იმდენი ნადირი რაც ეხლა არის, არახოდეს არ ყოფილა.

— როგორ?

— მე მოგახსენებ ორფეხა ნადირებზე—ოკუპანტებზე.

ნახ. გ. ლომიძისა



ჰიტლერი: შეუგნებელი ყოფილა ეს ფრანგი ხალხი: მინდა პატივი ვცე, კეისრის ტრიუმფალურ ეტლში შევაბა და ისტორიაში ჩავაგდო, მაინც არაფერი გამოდის!

ფიურერი სარკის წინ იდგა ჩვეულ მანქნითა და მან უთხრა თავისთავს შავ ფიქრებში გაჭრითა, მოდი ვიყოთ გულწრფელნი: გამარჯვება სად გვედგა? დაპყრობილი ქვეყნები ფებქვეშ ყველა დაგვეგო? თუმცა სივრცე გავბერეთ,—დავიპყროთ ქვეყნები, წინათგრძნობა გვეძახის: ხიფათს წინ შევეყურებით. საბჭოეთის ფრონტებსა შევალეთ ძალ-ლონე, რა ოინი და ხერხი მისთვის არ მოვიგონეთ, მაგრამ მასთან ბრძოლებში დღემდე მაინც რას გავხდით? ნუთუ ასე დავეცით, ნუთუ ასე დავგლახდით, ვერ ავიღეთ მოსკოვი, ლენინგრადიც ვერ ვნახეთ, საბჭოეთის ველებზე დავიმკვიდრეთ ჩვენ მახე. გამარჯვებას ამ ზაფხულს კიდევ ველოდ ველირსეთ, წინ მივიწვევთ თითქოს და „გამტყდარ გობთან“ ვართ ისევ, ფრონტს მოველით მეორეს,—დრო გვიდგება განკითხვის, ვინც დღეს ფებქვეშ გვეგება ნეტა ხვალ ის რას იტყვის?

ქიშვარდი

განარკვეული გავალიონი

უნგრელეს არ სურთ იბრძოლონ ჰიტლერისათვის გერმანელები ტყვიამფრქვევით ცხრილავენ უკანდახეულ უნგრელებს.

გაზეთებიდან

— როგორაა საქმე, მომახსენეთ, ჰერ! აღბად ახალი წარმატებები მოიპოვეთ დღევანდელ ბრძოლაში!—მიმართა შტაბის პოლკოვნიკმა ფრონტის ხაზიდან მისულ მაიორს.

— დღეს შედარებით არა უშავს, ერთ ბატალიონამდე გავსწვდით

— ერთი ბატალიონი გასწვდით? ეგ არაფერი მნიშვნელოვანია. სამხრეთით ერთ დასახლებულ პუნქტისათვის ბრძოლაში წითლებმა სამი ბატალიონი ჯარისკაცი გავიწვდით და გააფთრებულს ბრძოლის შემდეგ პუნქტი კვლავ მათ დაიკავეს, და შენ კი სახანლოდ მიგაჩნია და რიხიანად ამბობ, რომ ერთ ბატალიონამდე გავსწვდით. მაინც არავის აცნობო, რიცხვი გავზარდოთ და ვაცნობო სარდლობას—რომ თქვენმა ნაწილმა გუშინდელ ბრძოლაში გასწვდით რუსების რამდენიმე ბატალიონს.

— თქვენ გაუგებრობაში ხართ ბატონო პოლკოვნიკო, ჩვენ თუმცა ერთი ბატალიონი გავსწვდით, მაგრამ არა რუსების, არამედ მოკავშირე უნგრელები რომლებიც რუსების შემოტევის დროს უკან გამობრუნდნენ.

ილ. ბოლ.

საყვებური

ჰიტლერის ყოველგვარი ცდა, შეაბას ფრანგი ხალხი ომის ეტლში—უნაყოფო რჩება. ლავალი აღმოჩნდა მისთვის მტკიცე საყრდენი.

გაზეთებიდან



# მასხვიან წვარზე

## მართალი გამორება

ორი ფაშისტი ოკუპანტი დგას დივანის ნავთსადგურთან და საუბრობს:

— იცი ფრიც, მართლაც უძლეველია ეს ჩვენი სიმაგრე, რომ ვაბედონ ინგლისელებმა დესანტის გადმოსხმა — უკან ერთ ცოცხალს არ გაუშვებთ.

— მართლა ერის? — მიუგებს მეორე ირონიით, — მე კი ვფიქრობ, ფიურერმა ისე გააშიშვლა ეს ევროპა, რომ მოკავშირეებს ძალიან არ გაუჭირდებათ აქ შემოჭრა.

ერთი კვირის შემდეგ იგივე ოკუპანტები კვლავ საუბრობენ:

— აკი შენ ამტკიცებდი, თუ მოკავშირეებმა დესანტი გადმოსხეს, ცოცხალი ერთი აღარ დაბრუნდება უკანო.

— მართალი ვსთქვი.

— როგორ, განა ვერ ნახე, რომ დივანის რეიდის შემდეგ მათი მთელი ნაწილები ცოცხალი დაბრუნდნენ უკან?

— ჩემი სიმათლევ მაგაშია, მეგობარო; მე ვამტკიცებდი: ერთი არ დაბრუნდება მეთქი, მართლაც ისინი ათასობით დაბრუნდნენ უკანვე.

## გაუგებრობის მსხვერპლი

— რისთვის ჩამოახრჩვეს იოჰანბერგი?

— ბრალდებად წაუყენეს, თითქოს მას ქუჩაში დაეყვიროს „ძირს პიტლერიზმიო“.

— საბრალო, გაუგებრობის მსხვერპლი გამზადარა.

— როგორ?

## ძლიერი ხმა

მ ოკუპირებულ ოლქის გუბერნატორს გენერალ ფონ-ჯალათ — ბერგს ეტყობა, ლოთობასთან ერთად სიმღერაც უნდა უყვარდეს.

— დიახ, ყოველთვის ღლინებს ხოლმე, როცა ქალებისა და ბავშვების დახვრეტის შესახებ განკარგულებას იძლევა.

— გუშინ დილითაც ღლინებდა, ხომ გახსოვს?

— დიახ, ძლიერი ხმა ჰქონდა.

— ვის, ჯალათბერგს?

— არა, პარტიზანების მიერ ნასროლ ხელყუმბარას, რომელმაც ჯალათბერგი ნათლეთებად აქცია.

## ჩემი საუბარი ბაჩინის ქუჩაში



ატომ უწოდებენ გებელს უსინდისოს?

— იმიტომ, რომ განუწყვეტილვ ცრუობს

— თქვენ წარმოიდგინეთ, ახლათანამდებობა აქვს ისეთი, რომ იძულებილია იცრუოს, თორემ თავის ნამდვილ პროფესიას ის სინდისიერად ემსახურებოდა.

— რა პროფესია აქვს?

— სუტენიორი გახლავთ.

## ერთი საკმარისია

— გული წგამიტყდა პაულ, ჯრონტიდან რომ გამოვრობოდი, ასიათასობით გერმანელთა თავის ქალას ვხვდებოდი რუსეთის ველებზე გაფანტულს; ნეტავი კიდევ რამდენი ათასი თავის ქალაა საჭირო, რომ გერმანელმა ხალხმა თავი და აღწიოს ამ კოშმარულ ომს?

— ბევრი არ არის საჭირო, მეგობარო, ერთი სრულიად საკმარისია.

— მაინც?

— სრულიად საკმარისია პიტ-

ლერის თავის ქალა გაგორდეს მიწაზე, რომ მთელმა დედამიწამ თავი და აღწიოს ამ დამანგრეველ ომს.



## თანდაყოლილი თვისება

— პროფესორი კრონფელდი სწერს: „ახალგაზრდობაში, გონებრივად ჩამორჩენილობის გამო, პიტლერმა მღებავობაც ვერ ისწავლა და მაწანწალად დარჩაო“ — როგორ გავიგო?

— სულ უბრალოდ მეგობარო, — კრონფელდი ხომ თანდაყოლილ თვისებათა მკვლევარია, ხოლო მაწანწალობა — თანდაყოლილი თვისება ფიურერისა.

## მუხინავი ქვეითალები

ნახ. ს. ნადარეიშვილისა



— მიწის დასაპყრობად გამოგზავნეს, ესენი კი შაერში აფრინდნენ.

სამხრეთ-სლავიაში ბობოქრობს პარტიზანული მოძრაობა. ჰიტლერის მოხელეები ყოველმხრივ ცდილობენ თავი აარიდონ ამ ქვეყნაში წარჩინებულ თანამდებობაზე დანიშვნას.

ნახ. გ. ლომიძისა

გაზეთებიდან



- რამ დამწუხრა ჩვენი ობერ-ლეიტენანტი?
- ბოლკოვნიკობა უბოძეს.
- ასეთი წარჩინებისათვის ხომ სინარული მართებს?
- რა აქვს სასინარული. სამხრეთ-სლავიაში გუბერნატორად ნიშნავენ?

### ყველაფერი იყო ბოღვა...

„იტალიის საინფორმაცია ბიურომ გამოაცხადა თითქოს აფრიკაში ტყვედ ჩივიდეს მათე მოტორიზებული ინდოელთა ბრიგადის გენერალი, როგორც საზღვარგარეთული გახეთქები გადმოგვცემენ, ასეთი ნაწილი ინდოელთა არმიაში არ არსებულა“.

გაზეთებიდან

აფრიკაში მუსოლინიმა ისახელა თავი დიდად, სარდლობიდან მან მიიღო ცნობა გულის დასამშვიდად. შიგ ვწერა: „არ შეგარცხვენთ სანამ გვიდგას შენგნით სული, მოვბოვებთ ფრონტზე მტერთან გამარჯვება არნახული. მეათე მოტორიზებულ ინდოელთა ბრიგადაში შევიქმერთ, გავსწყვიტეთ და... გადაყარეთ ყველა ზღვაში!.. თვით ბრიგადის სარდალი კი შიშით აკანკალებული. ტყვედ ჩავიგდეთ ურიცხვ დავლით—ათასი ჯორკიდებულით!.. დუჩეს ასეთი ამბავი არ სმენია თავის დღეში, და მადლობა გაუგზავნა თვით გენერალს ეგვიპტეში. მაგრამ... დახეთ უბედობას, ეს რა ესმის დუჩეს ყურებს?... ნუთუ კიდევ მოატყუეს და ყინვაზე გააცურეს?!.. რაც პატაკით მოახსენეს ყველაფერი იყო ბოღვა, არც ბრიგადა, არც სარდალი თურმე არც კი არსებობდა.“

დ. ჯავშანიძე

### ზრუნვის გაზეთებიდან

პრაქტიკით შემოწმებულია

- მე იმ დასკვნამდე მივიდი, ფრიც, რომ გერმანელს ჰკუა ფეხებში აქვს.
- ყოჩაღ! ეს სიბრძნეც ალბად შენ ფეხებით გამოიგონე!
- როგორც გინდა — ისე იფიქრე! როცა რუხები ხრტებიან შეტევაზე გადმოდიან, მაშინ მე—თავში ბრუ მესხმის, ხელებს ზევით ვწევ და მხოლოდ ფენები არ ებნევიან—უკან გამოვრბიან, სახლისაკენ. („სამშობლოს პატრიოტი“)

სურვილი აუსრულდება

- შულცი დარდობდა, რომ ვერ ნახა თავისი მამა და ეხლა კი უთუოდ ნახავს.
- როგორ? მისი მამა ხომ ათასცხრაასთვრამეტ წელს მოკვლეს უკრაინაში?
- შულციც იქით მიდის... და უთუოდ შეხვდებიან ერთმანეთს-საიქიოს...

(„სამშობლოს პატრიოტი“)

სად სჯობს

- საწყალი აპველი! ურალისაკენ ებირებოდა და უკრაინაში ჩარჩა.
- მერე რა, ყოჩაღად მოქცეულა! რაა ურალი: მთები, კლდეები, ველური ადგილია... სულ სხვაა უკრაინა—საუცხოვო შავნიადგიანი მიწებია!!
- მაგრამ მე მაინც მაკვირვებს, თქვენი აჭრი ძვირფასო გრაფო, განა მიცვალეულისათვის შავნიადგიანი მიწა უფრო სასიამოვნოა?...

(„სამშობლოს პატრიოტი“)

ერთი ვარ, ერთხელ მოვკვდები, ერთხელ ვატრებ დედას, ერთხელ სჯობია სიკვდილი მუდამაქვს შეღონებასა, საბჭოთა გმირი მებრძოლი დამსახურებს ქებასა, როცა თავს სწირავს სამშობლოს მაჰანს, სურვილს და ნებასა.

ხმალი გკილია ვაჟაკო ფოლადი—მოპირულია, მტერზე საომრად წასულსა თან მიგაქვს კაჟის გულია, იცოდე ფიცის გამტენი მოლაღატე და კრულია, მშობელი წყველით იგონებს, მისთვის ის დაკარგულია.

ავთანდილ გაღინადირა ქედი მაღალი მთიანი, არ ააცდინა ნასროლი, მოჰკლა ნადირი რქიანი, სივრცეში დაჰქრის ნავარდობს ჩვენი მფრინავი ფრთიანი, ცხელი ტყვიებით მტერს სეტყავს გულადი, მარაი, ფხიანი.

სან—

## ეღვა

საბჭოლო გამარჯვება

**ჰამბურგი.** აგვისტოს ბოლო რიცხვებში ჰებელსის მახლობლებმა, პროპაგანდის სამინისტროში წინადადება შეიტანეს—განსაკუთრებული ზემოთ აღნიშნულ გერმანიის საინფორმაცია ბიუროს მიერ ლენინგრადის აღებულად გამოცხადების წლისთავი.

ცილისწამება

**მილანი (იტალია).** ამ დღეებში დახურეს ადგილობრივი გაზეთი „კაზმულონდო ცენზოზო“. გაზეთი დაიხურა ცილისწამებისათვის, რადგან მისი რედაქტორი ამტკიცებდა თითქოს იტალიაში არ არსებობს პრესის თავისუფლება.

დასალოვნებელი

**გუშარაისტი.** აქ მიღებული ცნობების მიხედვით, მოკლე ხანში ბერლინის სამხედრო აკადემიის სხდომის დარბაზში შესდგება სამხედრო სპეციალისტთა მორიგი სამეცნიერო სესია. სესიაზე სხვათაშორის მოსმენილ იქნება მოხსენება: „ფრონტიდან ტაქტიკური გამოპარვის თეორია“. მოხსენებით გამოვა ფრონტიდან უტაქტიკოთ გამოპარული ესპანელი გენერალი რეციდიველო დექურლო.

იზვიათი შემთხვევა

**პრალა.** ჩვენ პარტიზანების წინააღმდეგ საბრძოლველად გამოყოფილ ფაშისტურ სამხედრო ნაწილების მეთაური, პოლკოვნიკი ფონ-განწირული დანიშნულების ადგილზე ისე გამოცხადდა, რომ გზაში არც ერთი ფეხი არ დაუკარგავს.

## „ლაიხაღა“

პოზნანში (პოლონეთი) პოლონელებს აკრძალული აქვთ საპარკმახერობებში შესვლა.

ნახ. მ. ვაღბოლსკისა

გაზეთებიდან



**ფაშისტი პოლკოვნიკი:** — მართალია გარედან პოლონელებს აქ აღარ უშვებენ, მაგრამ ეს პარკმახერებიც ხომ პოლონელები არიან და ყელი რომ გამოიჭრან?

**გმესტაპოელი:** — ნეტავი გაბედავდნენ!.. მაშინვე დავხვრეტო სულ ყვე-

ლახ!

ნან. ლონისა



1.

რამ გაახარა ფრიც კაბუტბერგი? მან დანიშნულისაგან წერილი ღიოდა... „შე კარგად ვარ, გისურვებ ჯანმრთელობას“ — უთვლიდა იგი.



2.

რამ დაალონა გრეტენ ქვრივბერგი? დაიღუპა საწყალი, მისი საქმრო ფრიც კაბუტბერგი საექიმო კომისიამ შეამოწმა და იგი მართლაც სახეებით ჯანმრთელი აღმოჩნდა.

### „ზაფხულის ლამის სიზმარი“

(სცენა გერმანელთა სანგარში)

ფრიც — ჰეი, ვალტერ, ადექი! ჰეი, არ გესმის... (ფრიცი აქანებს მძინარე ჯარისკაცს).

ვალტერი — (წამოხტება) ა? რა მოხდა? გავიქცეთ? საით?

ფრიცი — ეჰ, რას ნიშნავს ჩვეულება!... არაა საჭირო გაქცევა, ჯერ შეგვიძლია აქ ვიყოთ...

ვალტერი — მაშ რად გამალვძიქ?

ფრიცი — იმიტომ, რომ შემეცოდე... ძილში კვენსოდი, ფეხებს აფხარკალვბდი..

ვალტერი — მაშ რას ვიზამდი?

ფრიცი — დაგესიზმრა რამე?

ვალტერი — უმჯობესია ნუ მკითხავ...

ფრიცი — არა, მომიყვი, რა დაგესიზმრა!

ვალტერი — დამესიზმრა?.. დასწყევლოს გამჩენმა ... ის... ტანკები..

ფრიცი — ტანკები? ვისი?

ვალტერი — ჩვენი...

ფრიცი — მაშ რალამ შეგაშინა, შე ოხერო?!

ვალტერი — განა მარტო ტანკები დამესიზმრა...

ფრიცი — კიდევ რა დაგესიზმრა?

ვალტერი — კიდევ?.. მარხილები...

ფრიცი — მარხილები?.. ეს მართლაც საშიში სიზმარია...

ვალტერი — რას უნდა ნიშნავდეს შენი აზრით?

ფრიცი — ისე გამოდის, რომ წელს ჩვენ დაგიწყეთ ტანკებით და მოგვისწრებს მარხილები...

ი. კონლახიძე

### ნამრვილი კაჯრონი

ნან. ი. კროტკოვისა



ზაფხისტი პოლკოვნიკი: ვინ პატრონობს ახლა ამ ტყეს?

ბურგომისტრი: პარტიზანები, ბატონო პოლკოვნიკო.

### ღიადოგი ბაჩინის კაუზუი


— რატომ მარხავენ გერმანიაში განცალკევებით იმ მოქალაქეებს, ვინც თვითმკვლელობით გაათავა სიცოცხლე?

— იმიტომ, რომ ცოცხლად გადარჩენილებს ისინი არ აერიოთ იმათში, ვისაც სიცოცხლეს ართმევენ ფიურერის კანონის საფუძველზე.

— საწყალი თვითმკვლელები: მთელი გერმანიისაგან განუცალკევებით.

### საჯიკალი სიხარული

ნან. მ. ვაღობაკისა



— მომილოცავს ფრაუ, გადშომცეს, რომ თქვენს შვილს ვაუკაცობა გამოუჩენია. ვურონეის მისადღომცში შეჭრილა. ხომ სინამდვილეა?

— დიახ, იქ არის დამარხული.

ნახ. დონისა



1. პოლონეთში

დაუნდობელ „ბრძოლის ველზე“  
გათია მთელი ღამე,—  
მოწმე იყო მის „გმირობის“  
მადლით ზეცა მოკამკამე.



2. საფრანგეთში

საფრანგეთში „ბრძოლის ცეცხლმა“  
მეტისმეტად შეაწუხა  
რადგან „გმირმა“ „ცეცხლი“ იგი  
ნორმის ზევით ჭარბად ზუხა.



3. ნორვეგიაში

არ შეუდრკა „გმარი“ ვიწრო  
ფიორდებს და მთაველებსა  
და „ვეფხვივით“ დაერია  
პირუტყვებს და ფრინველებსა.



4. სამხრეთ სლავიაში

ხელეგაკრულ სლოვაკებთან  
ბრძოლით თავი ისახელა  
არ შემდრკალა „რაინდი“ და  
დაამარცხა „გმირმა“ ყველა



5. საბერძნეთში

საბერძნეთში სახლთა ნგრევით  
ცამდის მტვერი აადინა  
და „განტვირთა“ ძეგლებისგან  
სალონიკი და ათინა.



6. საბჭოთა კავშირში

მრავალ ბრძოლებ გამოვლილსა  
თუმც არ ეგრძნო „ჩვენს გმირს“ დაღლა,  
დაუფასა ბედმა ღვაწლი:  
აიტაცა ცისკენ მაღლა.